მოსწავლის ბიბლიოთეკა

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი



ილუსტრატორი ნათია კვარაცხელია

თარგმნა გრიგოლ ყიფშიძემ

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

1

– ტომ!

პასუხი არ არის.

– ტომ!

პასუხი არ არის.

– რა დაემართა იმ ბიჭს? ტომ!

მოხუცმა სათვალე ცხვირზე ჩამოიწია და სათვალის ზემოდან მოათვალიერა მთელი ოთახი, მერე შუბლზე აიწია და ახლა სათვალის ქვემოდან მიიხედ-მოიხედა. სათვალეში თითქმის არასოდეს არ იყურებოდა, როცა ეძებდა ისეთ პაწაწკინტელა ნივთს, როგორიც, მაგალითად, პატარა ბიჭია. ეს სათვალე მისი სიამაყე იყო და უფრო სილამაზისთვის იკეთებდა; იქიდან დანახვა ისევე შეიძლებოდა, როგორც ქოთნის სარქველიდან. მოხუცი ერთ წამს დაიბნა, შემდეგ კი არცთუ ძალიან გაჯავრებით, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ ოთახის ავეჯს გაეგონა, თქვა:

– ჩამივარდები ერთი ხელში და...

სიტყვა ვერ დაასრულა, დაიხარა და საწოლქვეშ ცოცხით რაღაცას გულმოდგინედ დაუწყო ძებნა, თანაც ცოცხის ყოველ მოსმაზე ჩერდებოდა სულის მოსათქმელად, მაგრამ იქიდან კატის მეტი ვერაფერი გამოათრია.

– საძაგელი ბიჭი! ჩემს დღეში მისი მსგავსი არა მინახავს რა!

მივიდა გაღებულ კართან, შეჩერდა და ბაღში პამიდვრის კვლებსა და ბალახებში დაუწყო თვალიერება. ტომი არსად ჩანდა. მაშინ კი ხმა აიმაღლა და შესძახა:

– ტომ!

ზურგს უკან რაღაცამ გაიფაჩუნა. მიიხედა და პატარა

ბიჭს მკლავში სწორედ მაშინ სწვდა, როცა ის გაპარვას აპირებდა.

– ერთი ამას დამიხედეთ, სულ დამავიწყდა, საკუჭნაოში შემეხედა! რას აკეთებდი იქ?

– არაფერს.

– არაფერს? დაიხედე ხელებზე, შეხედე შენს ტუჩებს! ასე რით მოითხუპნე?

– არ ვიცი, დეიდა!

– მაშ, მე ვიცი! მურაბით! აი, რით! ორმოცჯერ მითქვამს, თუ ხელი გიხლია, გაგწკეპლავ-მეთქი. მომაწოდე წკეპლა!

წკეპლამ ჰაერში გაიშხუილა. განსაცდელი გარდაუვალი იყო.

– ოჰ, დეიდა, მიიხედეთ, თქვენ უკან რა არის!

მოხუცი მიტრიალდა, შიშით კაბის კალთა აიწია, ბიჭმა კი მოკურცხლა, თვალის დახამხამებაში ხის მაღალ მესერს გადაევლო და თავს უშველა. დეიდა პოლი ჯერ გონს ვერ მოვიდა გაკვირვებისგან, მერე კი ჩუმად ჩაეცინა.

– აი, შე საძაგელო! ნუთუ აქამდე ვეღარ შევეჩვიე? განა ცოტა ოინი უქნია! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ბებერი სულელი ყველა სულელზე ტუტუცია“ და „ბებერ ძაღლს ახალს ვეღარაფერს შეასწავლიო“. მაგრამ, ღმერთო ჩემო, მაგას ოინებს რა გამოულევს; ორჯერ ერთსა და იმავეს არასდროს გაიმეორებს. განა მიუხვდები, რას აპირებს?! გეგონებათ, იცის, რამდენ ხანს უნდა მაწვალოს, რომ მოთმინებიდან არ გამოვიდე. საკმარისია, ერთი წამით სხვა რამეზე გადაიტანოს ჩემი ყურადღება ან გამაცინოს, რომ მთელმა რისხვამ გამიაროს და თითიც ვეღარ დავაკარო.

...ღმერთმანი, პირნათლად ვერ ვიხდი ჩემს მოვალეობას. საღვთო სჯულში ხომ წერია, ვინც წკეპლას არ ხმარობს, ყმაწვილს რყვნისო; მე კი, ცოდვილი, როგორ ვანებივრებ.

ამისათვის ორივეს პასუხი მოგვეთხოვება. ვიცი, რომ თავი სისულელითა აქვს გამოტენილი, მაგრამ რა ვქნა? ის ხომ ჩემი ცხონებული დის შვილია, საცოდავი, და მეც ძალა არ მყოფნის, ერთი კარგად გავშოლტო. ყოველთვის, როცა კი სასჯელისგან გასხლტომის საშუალებას მივცემ, სინდისი მქენჯნის; დავსჯი და მოხუცებული გული მიკვდება იმისი ცოდვით. მართალი უთქვამთ, ღმერთს ადამიანისათვის ერთი სიცოცხლე მიუცია და სადარდებელი კი ათასიო! ნამდვილად ასეა! დღეს ის სკოლაში არ წასულა; საღამოზე ყალთაბანდობას მოუნდება, მე კი მოვალე ვარ, დავსაჯო. შევასრულებ კიდეც ჩემს მოვალეობას, ხვალ მთელ დღეს ვამუშავებ. სისასტიკეა, შაბათ დღეს ვამუშაო, როცა ყველა ბიჭისათვის უქმეა, მაგრამ რას ვიზამ... მუშაობა ჭირივით ეჯავრება, მაგრამ ამჯერად ვერ ვაპატიებ, თორემ სულ მთლად დავღუპავ ბიჭს.

ტომს იმ დღეს სკოლაში არც კი შეუხედავს და დრო ჩინებულად გაატარა. ძლივს მოასწრო შინ დაბრუნება ვახშმობამდე, რათა ხვალისთვის შეშის დახერხვასა და დაპობაში მიხმარებოდა ჯიმს, ზანგ ბიჭუნას. ყოველ შემთხვევაში, მოასწრო, ეამბნა თავისი თავგადასავალი, სანამ ჯიმი სამუშაოს სამ მეოთხედს შეასრულებდა.

ტომის უმცროს ძმას, სიდს (მამით ძმები იყვნენ), უკვე გაეთავებინა თავისი საქმე. მის მოვალეობას შეადგენდა ნაფოტების შეგროვება. წყნარი და მორჩილი სიდი არასოდეს ცელქობდა. სანამ ტომი ვახშამს შეექცეოდა და ყველა შემთხვევას იყენებდა შაქრის ნატეხების მოსაპარავად, დეიდა პოლი მას მეტად ცბიერ კითხვებს აძლევდა, იქნებ რამე წამოსცდესო. როგორც გულწრფელ ადამიანებს სჩვევიათ, დეიდასაც სწამდა, რომ დაჯილდოებული იყო უნარით, ჩასწვდომოდა ყოველგვარ საიდუმლოს – თავისი ყველაზე გულუბრყვილო

ფანდები სასწაულებრივ ეშმაკობად მიაჩნდა. მან იკითხა:

– დღეს სკოლაში ძალიან არ ცხელოდა, ტომ?

– არა, დეიდა.

– იქნებ ძალიან ცხელოდა?

– დიახ, დეიდა.

– ბანაობა არ მოგინდა, ტომ?

ტომი შეიშმუშნა; გულში არასასიამოვნო ეჭვმა გაკრა. გამომცდელი თვალით შეხედა დეიდა პოლის, მაგრამ მისმა სახემ არაფერი უთხრა, და უპასუხა:

– არა, დეიდა, არც იმდენად.

მოხუცმა ხელი შეახო ტომის პერანგს და თქვა:

– ყოველ შემთხვევაში, სრულიად არ გაოფლიანებულხარ.

მოხუცს თავი მოსწონდა, რომ ისე მოხერხებულად გამოიკითხა პერანგის ამბავი, ნამდვილ აზრს ვერავინ მიუხვდა; მაგრამ ტომმა კარგად იცოდა, ქარი საით უბერავდა, ამიტომ თავიდან აიცილა შემდეგი კითხვა.

– ჩვენი ბიჭები ონკანს უშვერდნენ თავს გასაგრილებლად. ნახეთ, თმა ახლაც კი სველი მაქვს.

დეიდა პოლი გულნატკენი დარჩა. მხედველობიდან როგორ გამორჩა ასეთი მნიშვნელოვანი საბუთი. მაგრამ უცებ ბრწყინვალე აზრმა გაურბინა.

– ტომ, მერე ჩემი მიკერებული საყელო ხომ არ მოარღვიე პერანგს, როცა თავი წყალს შეუშვირე? აბა, გაიხსენი ქურთუკი!

ტომს დარდი გადაეყარა, ღილები გაიხსნა. პერანგის საყელო მაგრად იყო მიკერებული.

– აბა, ახლა კი დამეკარგე! მე მეგონა, სკოლიდან საბანაოდ გაიპარე. ამჯერად გაპატიებ, მგონი, უკეთესი უნდა იყო, ვიდრე ჩანხარ.

დეიდა პოლი ნაწყენიც კი დარჩა, რომ გამჭრიახობამ უმტყუნა; თანაც უხაროდა, ტომმა ერთხელ მაინც გამოიჩინა მორჩილებაო.

მაგრამ უცებ სიდმა თქვა:

– მე ისე მახსოვს, თითქოს თქვენ საყელო თეთრი ძაფით მიაკერეთ, აქ კი შავია...

– დიახაც, თეთრი ძაფით მივაკერე!.. ტომ!..

მაგრამ ტომმა აღარ დაუცადა გაგრძელებას, ეცა კარს და თან დაიძახა:

– მე შენ გიჩვენებ სეირს, სიდ!

საიმედო ადგილას რომ მიიმალა, ტომმა გასინჯა ორი დიდი ძაფგადახვეული ნემსი, რომლებიც ქურთუკის საყელოში შიგნითა მხარეს ჰქონდა დაბნეული. ერთზე თეთრი ძაფი იყო აგებული, მეორეზე – შავი.

– ის ხომ ვერც შეამჩნევდა, სიდი რომ არ ყოფილიყო. ხათაბალაა, დეიდა ხან შავ ძაფს ხმარობს, ხან თეთრს. როგორ დავიხსომო! ერთით მაინც კეროს! სიდს კი ამის გულისათვის მაგრად მივბეგვავ! უსინდისო ვიყო, თუ ჭკუა არ ვასწავლო!

ორ წუთსაც არ გაევლო, რომ ტომმა გულიდან გადაიყარა დარდი. იმიტომ კი არა, რომ ის ნაკლებად მძიმე და მტკივნეული იყო, ვიდრე მოზრდილი ადამიანების დარდი, არა, ამ დროს მთელ მის არსებას დაეუფლა რაღაც ახალი მისწრაფება, რამაც დაიმორჩილა ყველა დანარჩენი. სწორედ ასე ავიწყდებათ მოზრდილებს თავიანთი ჭირ-ვარამი, როცა მათ რაიმე ახალი წამოწყების ხალისი შეიპყრობს.

საქმე ის იყო, რომ ტომმა ერთი ზანგისაგან რაღაც უცნაური სტვენა ისწავლა და დიდი ხანი იყო, ოცნებობდა, თავისუფლად ევარჯიშა. ზანგი ჩიტების ჭიკჭიკს ბაძავდა, რისთვისაც დროგამოშვებით ენას სასას აბჯენდა. მკითხ-

ველს, თუკი ბავშვობაში გამოუცდია, ალბათ გაახსენდება, როგორ ახერხებენ ასე სტვენას, გულისყურისა და მუყაითობის წყალობით ტომი მალე მიხვდა ამ საიდუმლოებას და ახლა მხიარულად მიაბიჯებდა ქუჩაში. მისი ბაგენი მუსიკას აფრქვევდნენ, სული კი მადლიერების გრძნობით აღვსებოდა. ის ვარსკვლავთმრიცხველს მოგაგონებდათ, რომელმაც ახალი მნათობი აღმოაჩინა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი სიხარული უფრო გულწრფელი და ძლიერი იყო.

ზაფხულის საღამოები გრძელია; ჯერ არ დაბნელებულიყო. უცებ ტომმა სტვენა შეწყვიტა. მის წინ ვიღაც უცხო ბიჭი იდგა, ცოტა მასზე მაღალი. უცხო პირის გამოჩენა პატარა ქალაქ სანქტ-პეტერბურგში*, ბუნებრივია, გაკვირვებას გამოიწვევდა. მით უმეტეს, რომ ბიჭი კარგად იყო ჩაცმული, ისიც სამუშაო დღეს! ეს პირდაპირ საკვირველი იყო. თავზე კოხტა ქუდი ეხურა; ყველა ღილზე შეკრული ლურჯი მაუდის ქურთუკი კარგად ადგა ტანზე და ისეთივე სუფთა და ახალი იყო, როგორც შარვალი. ფეხსაცმელებიც ეცვა, თუმცა უქმე დღე არ იყო. ღია ფერის ყელსახვევიც ეკეთა. საერთოდ, უცხო ყმაწვილს ქალაქელის შეხედულება ჰქონდა, რაც ტომს შეურაცხყოფდა. რაც უფრო თვალებდაჭყეტილი უყურებდა უცხო ყმაწვილს, მით უფრო ცხვირს უბზეკდა და ამით აგრძნობინებდა, ძალზე მეზიზღება გამოწკეპილი ბიჭებიო. ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ, მაგრამ როგორც კი ერთი გადადგამდა ნაბიჯს, მეორეც მიჰყვებოდა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ერთმანეთისთვის თვალი თვალში გაეყარათ; ბოლოს, ტომმა დაილაპარაკა:

---

* ამერიკელები თავიანთ ქალაქებს ხშირად არქმევენ მსოფლიოს დედაქალაქების სახელწოდებებს. მათ აქვთ რამდენიმე პარიზი, იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, სანქტ-პეტერბურგი და სხვ.

– მე შემიძლია, კარგად მიგბეგვო.

– აბა, ერთი სცადე!

– ჰოდა, მიგბეგვავ.

– ვერ შეძლებ!

– არა, შევძლებ!

– არა, ვერ შეძლებ!

– შევძლებ.

– ვერ შეძლებ!

– შევძლებ.

– ვერ შეძლებ!

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ისევ ტომმა დაიწყო:

– რა გქვია?

– შენი საქმე არ არის!

– აბა, ხმა, თორემ გიჩვენებ სეირს!

– მერედა, რა გიშლის ხელს?

– აბა, გაბედე კიდევ რამის თქმა...

– გავბედავ, გავბედავ! აჰა!

– თავი დიდი ვინმე გგონია, აი! თუ მოვინდომებ, ერთი ხელით შემიძლია მიგბეგვო.

– მერე რაღა გიშლის? ხომ ამბობ, შემიძლიაო!

– შემიძლია! თუ სისულელეს თავს არ დაანებებ, მართლა გცემ.

– მინახავს შენისთანებიც!

– პრანჭიავ! გგონია, დიდი ვინმე ბრძანდები?! ერთი ამის ქუდს დამიხედე!

– აბა, იქნებ კიდევაც სცადო და მომხადო, მაშინ ნახავ სეირს!

– ცრუპენტელა!

– შენ თვითონა ხარ!

– ცრუ და მშიშარა!

– კარგი, გაიარე, გაიარე!

– ეი, შენ თუ ბევრს ილაპარაკებ, ავიღებ ქვას და თავს გაგიხეთქავ!

– ტყუილია!

– არა, გაგიხეთქავ!

– რაღას უცდი? შენ მარტო იმუქრები, რატომ ხელს არ ანძრევ? იქნებ გეშინია?

– არც მიფიქრია!

– არა, გეშინია!

– არა, არ მეშინია!

– გეშინია!

ისევ დუმილი. პირისპირ მდგარი ბიჭები ერთმანეთს ისევ გარს უვლიან, ისევ თვალს თვალში უყრიან. ბოლოს, ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მხარი მხარს მიადეს.

– დაიკარგე აქედან! – შესძახა ტომმა.

– შენ თვითონ დაიკარგე!

– არ მსურს!

– არც მე მსურს!

ცალ ფეხზე დაბჯენილნი ეკვეთნენ ერთმანეთს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ერთმანეთისადმი სიძულვილით ანთებულნი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოაცვლევინა ფეხი მოწინააღმდეგეს. როდესაც ორივე მოიქანცა და გაწითლდა, ნელ-ნელა უკან დაიხიეს, ტომმა განაცხადა:

– შენ მხდალი და ფინია ხარ! მოიცადე, ჩემს უფროს ძმას ვეტყვი. ერთი თითით დაგანარცხებს მიწაზე. აი, ნახე, თუ ამას არ ვიზამ!

– ძალიან კი შემაშინებ შენი უფროსი ძმით! მე თვითონ მყავს შენზე დიდი ძმა. მას შეუძლია შენი ძმა ბურთივით გადააგდოს აი, იმ მესერზე (ეს ძმები მათი ფანტაზიის ნაყოფი იყო).

– ტყუი.

– რაკი შენ იტყვი, არა?!

ტომმა ფეხის ცერით მიწაზე ხაზი გაავლო და უთხრა:

– გიკრძალავ ამ ხაზზე გადმობიჯებას! თუ არ დაიშლი, ისე გაგხდი, რომ ფეხზე ვეღარ დადგე. აბა, ერთი გაბედე!

უცნობი ბიჭი საჩქაროდ დადგა გავლებულ ხაზზე:

– აბა, ვნახოთ, როგორ მცემ.

– თავი დამანებე, გირჩევ!

– ხომ დაიტრაბახე, გცემო. რატომ არ ასრულებ?

– გცემ, გგონია, არ გცემ?! ორ ცენტად გცემ!

უცნობმა ჯიბიდან ამოიღო შავი ფული და დაცინვით გაუწოდა ტომს.

ტომმა ხელში ჩაჰკრა და ფული მიწაზე დააგდებინა.

იმავ წუთს ორივე ბიჭი ტალახში გაგორდა, ერთმანეთზე თოკივით გადაგრეხილნი. ერთმანეთს თმით ათრევდნენ, ტანისამოსს აგლეჯდნენ, სახეს ჰკაწრავდნენ, მუშტებს ურტყამდნენ, მტვერში სვრიდნენ. ბრძოლის კორიანტელი გაიფანტა და ტომი გამოჩნდა. მხედარივით შეჯდომოდა თავის მეტოქეს, მუშტებით ზელდა და თან ელაპარაკებოდა:

– ითხოვე პატიება!

ბავშვი გათავისუფლებას ცდილობდა, სიბრაზის ცრემლები ახრჩობდა.

– ითხოვე პატიება! – და ტომმა მუშტები აამუშავა.

ბოლოს უცხო ბიჭმა ძლივს წამოილუღლუღა: „მაპატიე“. ტომმა თავი დაანება და თან უთხრა:

– ჭკუას ისწავლი, სხვა დროს გეცოდინება, ვისთან დაიჭირო საქმე.

უცნობმა ბიჭმა თავისი გზით გასწია, თან მტვერს იბერტყავდა ტანისამოსიდან, თანაც სულ სლუკუნებდა და ხვნეშოდა. ხანდახან მოიხედავდა უკან, თავს დაუქნევდა

და დაემუქრებოდა: გადაგიხდი, თუ ხელში ჩამივარდიო. ტომს ეცინებოდა და შინისაკენ გახარებული მიდიოდა, მაგრამ როგორც კი ზურგი შეაქცია, უცხო ბიჭმა ქვა სთხლიშა შიგ ბეჭებში და ისე მოკურცხლა, როგორც ანტილოპამ. ტომი გამოეკიდა ვერაგ მოწინააღმდეგეს, სახლამდე სდია და ამგვარად, გაიგო, სადაც ცხოვრობდა. ცოტა ხანს ჭიშკართან უცდიდა და მტერს კარში იწვევდა საბრძოლველად; მაგრამ ბიჭი ფანჯრიდან ეჭყანებოდა, გარეთ გამოსვლა კი არ მოისურვა. ბოლოს, მტრის დედა გამოვიდა, ტომს ქუჩის ბიჭი, საძაგელი და უზრდელი უწოდა და გააგდო. ტომი გატრიალდა, მაგრამ დაემუქრა, ბრალი მაგისი, თუ ხელში ჩამივარდაო.

ტომი შინ გვიან დაბრუნდა. ფრთხილად გადაძვრა ფანჯარაში, ცდილობდა, არ ეხმაურა; მაგრამ ფანჯარასთან დეიდა ჩასაფრებოდა. როცა დეიდამ დაინახა, რა მდგომარეობაში იყო ბიჭის ტანისამოსი, მტკიცედ გადაწყვიტა, უქმე დღეს მისთვის მძიმე სამუშაო მიეცა.